

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ, ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 9 იანვარს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №1– 7(შვიდი) ფურცელი
დასკვნა №1– 2(ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

კომისიის თავმჯდომარე



საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ.ლანჩხუთი

09.01.2018.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: თორნიკე ტიკაძე, გიორგი ჩახვაძე, აკაკი იმნაიშვილი და ზურაბ კუკულავა. სხდომას ასევე ესწრებოდნენ დეპუტატები: კარლო კვიციანიშვილი და ელისო ჭიჭინაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა.მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა.მახათაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა.მახათაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა.მახათაძე/

5. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციითურთ შესასწავლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის მერიის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს. კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია: მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან ქულის ამონაწერი. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, განმცხადებლის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ფართის მეპატრონის საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის ბანკის ანგარიში. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა - განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა-მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პროორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პროორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი); ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ(პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150000

სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები); ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100, დედანი); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა - განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), სივრცით ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის- ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში, ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა- განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა- განცხადება, მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში, ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა- განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან დასკვნა, მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა- განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა); სამედიცინო დაწესებულების/ აფთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ- ფაქტურა; ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ, შშმ პირის სატაუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა- განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა);

მან ასევე აღნიშნა, რომ მერიაში შემოსულ განცხადებებს კომისიური წესით განიხილავს სამსახური თვეში ერთხელ მაინც ან აუცილებლობის გათვალისწინებით. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამით ვეტერანებზე განსაზღვრული სარეიტინგო ქულა მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განისაზღვროს 150000-ით. თამარ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ ქულების გაზრდის აუცილებლობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ გაიზრდება ბენეფიციართა რაოდენობა და გაიზრდება დაფინანსებაც, ვინაიდან გასულ წელს აღნიშნულ პროგრამაში სულ 60 ადამიანი იყო გათვალისწინებული და სრულად მოხდა მათი დაკმაყოფილება.

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა განაცხადა, რომ სოფელ შუხუთში გორისგვერდის მიმდებარე ტერიტორიაზე კორნელი ორაგველიძის სახლი უკვე დიდი ხანია არის ავარიულ მდგომარეობაში. არსებობს დანგრევის საშიშროება, რის გამოც აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება. თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს იმის საშუალება, რომ მოქალაქეს საცხოვრებელი ფართი შეუძინოს. მსგავსი შემთხვევის დროს, მოქალაქემ განცხადებით უნდა

მიმართოს როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ასევე მუნიციპალიტეტის მერიას, გეოლოგების მიერ მოხდება სახლის შემოწმება, დასურათება და დასკვნის მომზადება, რომელიც შემდგომ გადაეგზავნება სამინისტროს, მოხდება საკითხის კომისიური წესით განხილვა, რის საფუძველზეც მიიღება შესაბამისი ზომები.

დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია ორიენტირება გაკეთდეს სოციალურ პროგრამებზე და სპურტულ ღონისძიებებზე. სწორედ აღნიშნული კუთხით უნდა მოხდეს ბიუჯეტის ზრდაც.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-4, წინააღმდეგი-1(გიორგი ჩახვაძე).

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

- ა) შორუნველოზამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (100000 ლარი).
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა (32400 ლარი).
- გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა (45000 ლარი).
- დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა (51000 ლარი).
- ე) მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა (5500 ლარი).
- ვ) ცენტრ „ივენანას“ თანადაფინანსების პროგრამა (10000 ლარი).
- ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა (39800 ლარი).
- თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა (10000 ლარი).
- ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა (50000 ლარი).
- კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უზედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა (30000 ლარი).
- ლ) ლანჩუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა მუქუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის (30000 ლარი).
- მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა (1000 ლარი).

- ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა (3000 ლარი).
- ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა (52100 ლარი).
- პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა (35000 ლარი).

ჟ) შშმ პირის სატაქსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა (4900 ლარი).

მან ასევე აღნიშნა, რომ სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილია სულ 499 700 ლარი.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ სოციალური დახმარების კომისიის სხდომას სასურველია ესწრებოდნენ იმ ადმინისტრაციული ერთეულების დეპუტატები, რომელთა განცხადებების განხილვაც მოხდება კომისიაზე (საუბარია განცხადებებზე, რომლებშიც მოსახლეობა ითხოვს დახმარებას საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით).

დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებში 50%-იან თანადაფინანსებასთან ნაცვლად "არაუმეტეს 500 ლარისა" მითითებული უნდა იყოს "არაუმეტეს 1000 ლარისა", რაზეც თამარ ფირცხალაიშვილმა გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ გამოთქმული ცვლილება გამოიწვევს შესაბამისად ბიუჯეტის ზრდას, რის საშუალებაც ამ ეტაპისთვის არ არის.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსების თანხა 50000 ლარი არ იქნება საკმარისი, გასულ წელს ამ პროგრამის შესახებ მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული, რის გამოც გამოყოფილი თანხის გახარჯვა ვერ მოხდა სრულად.

დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ სოციალურ პროგრამებში ცვლილებების შეტანა ვერ ხერხდება იმის გამო, რომ ყველა წარმომოთქმული შენიშვნის გათვალისწინება დაკავშირებულია ფინანსებთან. ამიტომ აუცილებელია სამომავლოდ აღნიშნული კუთხით ზომების მიღება, კერძოდ ბიუჯეტის ზრდა.

თამარ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ ე ჰეპატიტის პროგრამაში პირველად კვლევებში არის ერთერთი ანალიზი, რომელსაც საბელშიფო არ აფინანსებს და მუნიციპალიტეტის მიერ მოხდება აღნიშნული ანალიზის დაფინანსება.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-4, წინააღმდეგი-1(გიორგი ჩახვაძე).

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების კულტურულ, სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სხვადასხვა პროგრამიდან თანხის გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს ღონისძიებათა დაფინანსების ძირითად მოთხოვნებს. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნაღდო

ანგარიშსწორების გზით ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

თამარ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ სოც-კულტურულ ღონისძიებებში ფინანსდება სულ 11 პროგრამა: საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა 2000 ლარით, ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა 500 ლარით, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების პროგრამა 3000 ლარით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა 3000 ლარით, ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის პროგრამა 1500 ლარით, სხვადასხვა ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამა 1000 ლარით, წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა 4000 ლარით, შემოქმედთა წახალისების პროგრამა 3000 ლარით, ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა 3000 ლარით, კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა 3000 ლარით და სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა 6000 ლარით.

დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ დააყენა წინადადება, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მერიამ და შესაბამისმა სამსახურმა უზრუნველყოს და ორგანიზება გაუწიოს ფეხბურთში რაიონული ტურნირის ჩატარებას, რომელშიც ჩართული იქნება ყველა ადმინისტრაციული ერთეული.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამებია:

- ა) საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა;
- ბ) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- გ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების პროგრამა;
- დ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა;
- ე) ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის პროგრამა;
- ვ) სხვადასხვა ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამა;
- ზ) წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა;
- თ) შემოქმედთა წახალისების პროგრამა;
- ი) ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა;

კ) კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;

ლ) სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა;

წარმოდგენილი საკითხის შესახებ ისაუბრა თამარ ფირცხალაიშვილმა, მან აღნიშნა, რომ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამიდან დაფინანსების მისაღებად დაინტერესებული პირი (კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორი ან სამსახური, ვის მიერაც ხდება სამიზნე ჯგუფის შერჩევა), წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ღონისძიების დაფინანსების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორის განცხადებას, თან უნდა ახლდეს ჩასატარებელი ღონისძიებების პროგრამა, ამიზნე ჯგუფის შერჩევა და დაფინანსების მოთხოვნა პროგრამებიდან ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის შუამდგომლობით, შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებიდან დაფინანსების მოხონვლათა განცხადებების განხილვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. შემოსულ განცხადებებს განიხილავს და შესაბამის დასკვნას ამზადებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებთა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-(არცერთი).

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე:



ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №1

2018 წლის 9 იანვარს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე :



ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

09.01.2018 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	12:00	
2	თორნიკე ტიკაძე	12:00	თ. ტიკაძე
3	გიორგი ჩახვამე	12:00	გ. ჩახვამე
4	დავით ჩხარტიშვილი	პი ესტუბოლა	პ. ჩხარტიშვილი
5	ამირან გიგინეიშვილი	პი ესტუბოლა	პ. გიგინეიშვილი
6	ოსებ ჩხაიძე	პი ესტუბოლა	პ. ჩხაიძე
7	აკაკი იმნაიშვილი	12:00	აკაკი იმნაიშვილი
8	ზურაბ კუკულავა	12:00	ზ. კუკულავა
9	ემზარ თევდორაძე	პი ესტუბოლა	პ. თევდორაძე